ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N50

ქ.თბილისი

27 დეკემბერი, 2024 წელი
12[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
მარიამ გელაშვილი
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ანა კილაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე
ვიტალი ონიანი
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე;

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალური დირექტორი გიორგი შარკოვი;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი დავით ჩანქსელიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიორგი ნამგალაური.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა არის ამ წლის ბოლო სხდომა, 2024 წელი იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი, მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ნამგალაურის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვლადიმერ ჭიღლაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ბექა მიქაუტაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი შარკოვი

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი

11. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100, სკვერის მიმდებარედ არსებული 773 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.029.056) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

12. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლე-ებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

13. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მე-14 სართულზე მდებარე 392.52 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.127) და მოძრავი ქონების (ინვენტარის) შპს „აგროჰაბისთვის“ (ს/ნ. 404502098) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

14. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქ.N19-ში მდებარე 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.015.025) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან ქავზინაძისთვის (პ/ნ. 59001022626) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

15. „ქ.თბილისი, მარიჯანის ქ.N2-ში (ს/კ. N01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ. 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

16. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

17. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

18. „ქალაქ თბილისში, ნადიკვრის ქუჩის მიმდებარედ „თაბორი“-ს მთის კალთაზე; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბერძნის, N 39-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.18.04.020.209; 01.18.04.020.208; 01.18.04.020.326; 01.18.04.020.176) ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

19. „ქ.თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N448 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, შავნაბადას ქუჩა, N41; N28; N26; N30; N24; N18; N49; N51; N45; N16; N39; N20; N47; N22; N43-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.81.02.389.038; N81.02.05.391; N81.02.05.367; N81.02.39.006; N81.02.05.740; N81.02.05.682; N81.02.05.818; N81.02.00.817; N81.02.05.636; N01.81.02.389.037; N01.81.02.389.041; N01.81.02.389.050; N01.81.02.370.038; N81.02.05.809; N01.81.02.389.036; N01.81.02.389.040) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

21. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N590 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2025 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ნამგალაურის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ გიორგი ნამგალაური არის გამოცდილი იურისტი, მუშაობდა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის პოზიციაზე და აკეთებდა საკმაოდ მნიშვნელოვან საქმეს. განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მისი საქმიანობა სამსახურის უფროსის თანამდებობაზე იქნება ნაყოფიერი, წარმატებები უსურვა მას და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია რამდენიმე ცვლილება: სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამით, დახმარების გაცემისას სამსახური იხელმძღვანელებს ბავშვის დაბადების თარიღში არსებული სარეიტინგო ქულით; ერთმანეთისგან გაიმიჯნა სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების და სოციალურად დაუცველი უსინათლო პირების დახმარების ქვეპროგრამები; უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში ქვეპროგრამის ფარგლებში, ცინცაძის სახელობის მე-16 ხელოვნების სკოლას გაეზარდა ლიმიტი ხუთი პირით და დაზუსტდა სასახლის სახელწოდება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია რამდენიმე ცვლილება: დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში დაზუსტდა ზოგიერთი მომსახურების დასახელება და ღირებულება; ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამას დაემატა ჩანაწერი აუტოლოგიურ ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებით; გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამაში დაემატა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, თუ პირი 18 თვის განმავლობაში არ იღებს მომსახურებას, შეუწყდება მოსარგებლის სტატუსი.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებით წარმოდგენილი ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია და მადლობა გადაუხადა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს, რომელიც ამ მნიშვნელოვან თემატიკასთან დაკავშირებით ყოველთვის ძალიან ღირებულ ნაბიჯებს დგამს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა კრწანისის რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ. აღნიშნა, რომ 2024 წელს, „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა უამრავი პროექტი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება. რაც შეეხება წარმოდგენილ ცვლილებას, განმარტა, რომ ის ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ წლის ცვლილებას და 2024-ის ნაცვლად მიეთითება 2025 წელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის მხოლოდ საბაზისო ხელფასში, რომელიც იზრდება 10%-ით, ხოლო საშტატო ერთეულების რაოდენობა რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ისევე, როგორც წინა პროექტში, ამ შემთხვევაშიც, ცვლილება ეხება ხელფასების 10%-იან ზრდას, ხოლო საშტატო ერთეულების რაოდენობა რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობები, რაც გულისხმობს დაჩქარებული მომსახურების არჩევისას, პროცესში კონსულტანტის მომსახურების ჩართვას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით იზრდება სააგენტოს 10 დღიანი მომსახურების საფასურების განაკვეთები. აქვე აღნიშნა, რომ ცვლილება ამოქმედდება 2025 წლის პირველი თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი შარკოვმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკთან გასაფორმებელი სასესხო ხელშეკრულება, რომელიც ეხება თბილისის მეტროპოლიტენისთვის 97 ვაგონის შესყიდვას. აქვე აღნიშნა, რომ პროექტის საორიენტაციო ჯამური ღირებულება არის 205000000 ევრო, საიდანაც 125000000 ევროს დაფინანსება განხორციელდება ბანკის სესხით, ხოლო დანარჩენი სახელმწიფო დაფინანსებით. წარმოდგენილი ხელშეკრულების შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა უზრუნველყოს გამოყოფილი თანხების შეუფერხებელი მიწოდება პროექტის განხორციელებისთვის და ასევე, ხელშეკრულებაში გაწერილია პროექტის განმახორციელებლის, კერძოდ, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ფუნქცია-მოვალეობები.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ისეთი მასშტაბური განახლება, როგორიც დაგეგმილია ზემოთ ხსენებული პროექტის განხორციელებით, თბილისის მეტროპოლიტენს არასდროს ჰქონია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, უცვლელი რჩება არსებული რეგულაციები, იცვლება მხოლოდ წელი და შესაბამისად, დედაქალაქის დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების მართვა, ზამთრის პერიოდში ქუჩებში მარილის მოყრის სამუშაოების შესრულება და დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება 2025 წელს, დაევალება „თბილსერვის ჯგუფს“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100, სკვერის მიმდებარედ არსებული 773 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.029.056) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საპატრიარქოსთვის 773 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა,

ეკლესიის მშენებლობის მიზნით. აქვე აღნიშნა, რომ ეკლესიის მშენებლობა ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლე-ებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ათი პირისთვის უძრავი ქონების გადაცემა სიმბოლურ ფასად, რის სანაცვლოდაც აღნიშნული პირები უარს ამბობენ მათ წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N1-ში, მე-14 სართულზე მდებარე 392.52 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.10.13.015.127) და მოძრავი ქონების (ინვენტარის) შპს „აგროჰაბისთვის“ (ს/ნ. 404502098) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს „აგროჰაბისთვის“, რომელსაც მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული აქვს კვების ობიექტი, იჯარის ვადის გაგრძელება 2 წლით. აქვე აღნიშნა, რომ წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 36000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქ.N19-ში მდებარე 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.015.025) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან ქავზინაძისთვის (პ/ნ. 59001022626) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება

კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 576 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქ.თბილისი, მარიჯანის ქ.N2-ში (ს/კ. N01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს" (ს/ნ. 405411095) და შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, რომლის ფარგლებში, მარიჯანის ქ.N2-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და სამშენებლო ნებართვის გაცემისას კ3 კოეფიციენტი განისაზღვრება ნულით. აქვე აღნიშნა, რომ მშენებლობა უნდა განხორციელდეს უკვე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ ფართზე რეგისტრირებულია დაზარალებული პირების საკუთრების უფლებები, შეუძლებელია შეიცვალოს და დაცული იყოს მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი, სასტუმრო და საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობის განთავსების მიზნით, ინდივიდუალური პარამეტრების დადგენას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადება წარმოდგენილია თბილისის მერის წერილით N12-032315218-03 თარიღი: 01.06.2023 (განსახილველად წარმოდგენილია „ბ“ პოზიცია), რომელზეც ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება საკრებულოს შესაბამის კომისიებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, ნადიკვრის ქუჩის მიმდებარედ „თაბორი“-ს მთის კალთაზე; ქალაქი თბილისი, ქუჩა ბერძნის, N 39-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდები: N01.18.04.020.209; 01.18.04.020.208; 01.18.04.020.326; 01.18.04.020.176) ინდივიდუალური ერთბინიანი და ორბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 22404 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 3-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია დაბალი ინტენსივობის 2-3 სართულიანი ვილებისა და ბლოკირებული სახლების მშენებლობა. აქვე აღნიშნა, რომ ტერიტორია მოიცავს 13 მიწის ნაკვეთს, თუმცა, სამშენებლოდ განვითარდება 11 მათგანი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქ.თბილისში, აბაშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.004.008) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 სექტემბრის N448 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 320000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის მატება 2.5-დან 3.0-მდე, რაც გულისხმობს ერთ ბლოკზე 12 სართულიანის ნაცვლად, 20 სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, შავნაბადას ქუჩა, N41; N28; N26; N30; N24; N18; N49; N51; N45; N16; N39; N20; N47; N22; N43-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.81.02.389.038; N81.02.05.391; N81.02.05.367; N81.02.39.006; N81.02.05.740; N81.02.05.682; N81.02.05.818; N81.02.00.817; N81.02.05.636; N01.81.02.389.037; N01.81.02.389.041; N01.81.02.389.050; N01.81.02.370.038; N81.02.05.809; N01.81.02.389.036; N01.81.02.389.040) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 25000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ტერიტორიის გამიჯვნა 20 მიწის ნაკვეთად, რომელთაგან 18-ზე განთავსდება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში ოქროყანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.314; N01.18.01.002.264) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ნოემბრის N590 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, საპროექტო არეალს ემატება ერთი, 5528 კვ.მ.-იანი მიწის ნაკვეთი, რის შედეგადაც ტერიტორია გახდება 30944 კვ.მ. და განვითარდება საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ბიუროებში ხელფასების ზრდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ გვაქვს ოთხოლქიანი, სამოლქიანი, ოროლქიანი და ერთოლქიანი რაიონები, პროცენტული მატება მცირედით განსხვავდება ერთმანეთისგან და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2025 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ წარმოდგენილია საკრებულოს ფრაქციების ლიმიტების ზრდა 10%-ით და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ გარდა ხელფასების 10%-იანი მატებისა, პროექტი ითვალისწინებს რამდენიმე ცვლილებას და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 11 დადგენილება და 13 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი